



ქართული
საბჭოთაო

1
1958

№ 12 თბილისი ივნისი 1958
საბჭო
განმცემის XXXVI წელი ფასი 2 ზან.

ნაბ. ჯ. ლოლუაძე

— ხვალ ამ დასახელებულ სახლში ადგილების ნახევარი
გათავისუფლდება.
— რა მოხდა?
— დირექტორი ცოლს გაეყარა.

საქართველო

ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გომოხიას და რაიპროკუროს იუსტიციის უმცროს მჩრეველ შეროზიას

შეწუხებისათვის დიდი ბოდიში, მაგრამ ერთი ძველი ამბავი უნდა მოგაგონოთ და თქვენი უურადლება მოგვაპყარით. სამართლის მსახურები ხართ და გულდინჯად მოისმინეთ ყველაფერი. ერთ-ერთი თქვენთაგანი, თუმცა უმცროსი. მაგრამ მანაც მჩრეველი გახლავთ და იქნება ერთ ამბავში გაგვარკვიოთ, ან რაიმე გვირჩიოთ, ან რაიმეს მიგვახვედროთ.


ეს ამბავი ნუგზარ ერისთავის დროს არ მომხდარა, სისხლის წვიმების დროს რომ ეძახიან, მაგრამ მაშინ კი ნამდვილად მოხდა, როცა ჩემი მეზობლის ექვსწლიანხვერის ბიჭი ენას იღამდა. სიტყვა რომ არ გამიძვრძვლდეს და მოკლედ მოვჭრა, გადაჭრით გეტყვი, გლახა კრიაშვილი კი არა ვარ, რომ ამბავი წამოვიწყო და თავი ვერ მოვბა: ეს მოხდა 1952 წელს.

ქ. ზუგდიდში, საბჭოს შესახვევი № 7-ში მცხ. აკაკი ზოსიმეს ძე ხარებავს კომუნალური მეურნეობის გალის სასტუმროს სასარგებლოდ 3.800 ზანეთის გადახდა დაექისრა. აღმასრულებელი ფურცელი ზუგდიდის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს გადაეგზავნა. აღმასრულებელმა ქოჩუამ ხარებავს ერთი ოთახი ჩამოართვა და დალუქა. ვაშა! სიმართლემ გამარჯვება იხეიმა... მაგრამ (ყველას ხომ ეს მაგრამ უშლის) ვაშას ძახილი ნაადრევი აღმოჩნდა. მოქალაქე ხარებავამ სახლი ლუქიანად გაყიდა და ნასახლარზე ახალი სახლი წამოკიმა.

დაზარალებულმა მხარემ თქვენ მოგმართათ, ამხ. შეროზია და გომოხია, და თქვენ კი გაბუტულბივით პასუხი არ გაეცით. ჰოდა, სხვა რა გზა ჰქონდა, ისევ საქ. სსრ იუსტიციის სამინისტრო და რესპუბლიკის პროკურატურა შეაწუხა. მათ, თავის მხრივ. თქვენ მოგმართეს: საქმეში ერთი გაზეთის რედაქციაც ჩაერთა.


ექვსი წლის მიწერ-მოწერამ, ცალობით რომ ვიანგარიშოთ, შვიდ ათეულს მიაღწია, მაგრამ შედეგი იგივე დარჩა, კრილოვმა რომ თქვა: „ВОЗ И НЫНЕ ТАМ“.

ამხ. გომოხია! თქვენი მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი ფაქსიმილეთია დადასტურებული 1957 წლის 19/IX-ის № 701 მიმართვა—გალის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხანაგ კორკელიასადმი. თქვენა წერთ:




(შოთა რუსთაველი, დიდი ხნის გარდაცვალებული რომ არ იყოს, ალბათ, თქვენ მოგებარებოდით მშობლიური ენის სასწავლებლად... მაგრამ ამაზე არას ვამბობ!)

გულს არც თქვენ დაგწყვეტთ, ამხანაგო შეროზია, და თქვენი 1956 წლის 6/VII №1786 მიმართვასაც მოვიყვანთ:



თქვენს მიმართვაში, ამხანაგო უმცროსო მჩრეველო. გაურკვეველია ხარებავა უნდა მიეცეს პასუხისგებაში, თუ საქმე... მაგრამ ამაზედაც არაფერს ვიტყვოდით, ჩვენთვის გასაგები რომ იყოს, სად არიან ის ყბადალებული „სათანადო ორგანოები“... თქვენზე უკეთ ამ საქმეში არავინ იქნება ჩახედული და, ნუ დაგვზარალებით, ერთი თქვენებური რიხით ჩვენც გაგვაგებინეთ და დაზარალებულსაც.

ა. ცაგავი



(იგავ-არაკი)

მიყრუებულ ერთ სოფელს თვით გუგული ეწვია და შვილების აღზრდაზე წაიკითხა ლექცია:

— იმას უნდა რცხვენოდეს, ვისაც შვილი არა სურს; ქალს დედობა შევნოდეს, ზრდიდეს ან ვაჟს, ან ასულს!.. მაგრამ, მსმენელთ ხმაურმა ჩააფიქრა თავხედი, დაინახა, ბრაზობენ იქ მერცხალი; აქ მტრედი... — კმარა ჭკუის სწავლება, რჩევაც ბევრი გვსმენია;

— შვილი თვითონ არასდროს რად არ გაგიჩენია?! სხვის ბუდეში კვერცხებს დებ, ბარტყის გაზრდა არა გსურს; რა დედაა, ვინც არ შობს, არც გაუიშვილს, არც ასულს?! თვითონ რომ ხარ უგულო. უქნარა და თავნება, რა ნება გაქვს, გუგულო, იწყე ჭკუის სწავლება?!

თარგმანი

კალე გომოხიას



კინოს მოხერხებული დირექტორი.

ნახ. ა. კანდელაკის

ნაკაზანის 7-წლიანი სკოლის დიკაქტორს

ჩემო გერმანე! ბუტია ყოფილხარ. ჩვენი ქურნალის ფოსტაში რომ მოხვდი. განაწყენებულხარ, ქვა აგიგდია და თავი შეგიშვერია, გითქვამს: მერე რა, თუ კოლმეურნეობისაგან მიღებული სკოლის შენობა თავის დროზე არ შევაკეთე, მერე რა, თუ ვტყუი; - ჩვენი პრესა საბჭოთა პრესაა და იგი ვალდებული და მოწოდებულია მე, როგორც, საბჭოთა მუშაკი, მაქოს და მადიდოსო, პოდა, ალბათ ამიტომ მოგვართვი არზა-ბარათი.

ქება-დიდება მოგინდა. პატივცემულო დირექტორო. მაგრამ ქება-დიდებას მერეც მოვესწრებით, ჯერ კი ისა ჯობია საქმეზე ვილაპარაკოთ: ქებით ამალღებული კაცი ჯერ არ მოსწრებია ადამიანთა მოდგმას.

შე დალოცვილისშვილო. კოლმეურნეობამ უშველებელი შენობა იმისათვის ხომ არ გადმოგცა, რომ კედლებიან-მერხებიანად გაგეპარტახებინა და საფრთხობელად გექცია. შორიდან რომ თვალი მოაელო სკოლის შენობას, ნამდვილი სასახლე გეგონება, მაგრამ საკმარისია ახლო მიხვიდე, რომ ლუარსაბ თათქარიძის იატაკჩაცვენილი სასახლე მონაგონ გეჩვენოს.

თავისუფლებისმოყვარე რომ ხარ, ამას რა ჯობია, მაგრამ, წვიმა რომ თავისუფლად ჩამოდის და იქაურობას ასველებს და ანესტიანებს, ეს, სასურველო გერმანე, სკოლის დირექტორი კი ხარ, მაგრამ მაინც არ გეპატიება.

სახურავზე რომ ნახევრადჭადრაკულად ყრია ქვეები, ერთი ეს გვითხარი, რამდენი ხანი უნდა იქროლონ ზემოქარმა და ქვენამა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ის ქვეები ერთიანად ჩამოყარონ და არა გჭირდებოდეს ტრაგიკული ძახილი: «მოსწავლეებო, შორს სკოლის შენობიდან, თავს გაუფრთხილდითო!» ჩემო გერმანე, ხტუნაობა მაშინდა უნდა, როცა თავი ქუდში გაქვს და თავი ქუდში მაშინდა გექნება, როცა, სკოლის პატივცემულო დირექტორო, სკოლის საქმეები წესრიგში გექნება. მაინამდე კი თავი მოისერიოზულე და ბეჭედღასმულ ბარათებს ნუ გვიგზავნი.

ამ წერილს იმიტომ გწერთ, რომ შენსავით იხტიბარგაუტყუებელბმა იმდენი თავმდაბლობა მაინც გამოიჩინონ, რომ, როცა ტყუიან, ისევე არ აცდინონ და გააცდინონ ზემდგომი თუ გვერდით მდგომი ორგანოები, როგორც შენ ნარაზენის სას. საბჭოს თავმჯდომარე და კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე აცდინე და ცრუმოწმეობა გააწვიინე—ესაო და სკოლას რემონტი არა სჭირდებაო.

ისე ხომ კარგად ბრძანდები?!
სიახლი



ნახ. ზ. ლეუვახი

— როგორია თქვენი პროექტი?
— დავრჩე თბილისში დამთავრების შემდეგ.

ნახ. რ. მახარაძისა



— ეს ბილეთიც არ მომწონს, პატივცემულო პროფესორო, ერთს კიდეც ავიღებ.
— მეტის აღება აღარ შეიძლება.
— რა მოხდა, ბატონო, სასბეკულანტოდ კი არ მინდა!

კოლონური იუმორი

როცა „ჯუნგლისწიგნი“ გამოქვეყნდა, კიპლინგს მეგობარი შეეკითხა:

— შენის აზრით, ლომი რომ მოკვდეს, ვინ იქნება ნადირთ მეფე?

— არ ვიცი, — უპასუხა მწერალმა, — ის კი ვიცი, რომ ხპილო არ იქნება.

— რატომ?

— სპილო იმდენად პატიოსანია, რომ ამ საქმისათვის არ გამოდგება.

ახალგაზრდა ქმარი სტაშეკი თავის მომხიბლავ ცოლს შიმართავს:

— იცი, ვანჯა, შენმა უკანასკნელმა თავვანისმცემელმა, რომელზეც შენ ადრე იყავი დანიშნული, ცოლი მოჰკლა.

ვანჯა სასოწარკვეთოდ შესცქერის ქმარს:

— კი მაგრამ, რისთვის?

— ლალატისათვის.

ქალმა შევებით ამოისუნთქა.

— რა ბედნიერებაა, რომ შენ მოგთხოვდი!

მოსამართლე მოხარჩელეს ეკითხება:

— ოცდაათი წელია ცოლთან ცხოვრობთ და ახლა აპირებთ განქორწინებას?

— ოო, ბატონო მოსამართლე, ვხედავ თქვენც გიკვირთ, რომ ამ საქმეზე ადრე არ მოვედი!

პან მალანოვსკი ბაქანზე ელოდება ცოლს. რომელიც შევებულებიდან ბრუნდება. მატარებელი ჩამოდგა. მალანოვსკი ცოლს ეგებება და ხელზე შკოცნის.

— ჩემო ძვირფასო, ორი კვირაა ერთმანეთი არ გვინახავს და არც კი მეხვევი. აბა შეხედე იმ წყვილს, აგერ, იმ მატარებელთან... როგორი ყურადღებაა!


— კი მაგრამ, ის ქალი მიემგზავრება!

პან მალანოვსკი პარიზში გაემგზავრა და ერთ დღეს ლუვრიც მოინახულა. დაათვალიერა რამდენიმე სურათი, ბოლოს ჯოკონდას წინ შეჩერდა და ნაცნობს მიუბრუნდა:

— ჰმ! ამოდენა მანძილი განა იმისათვის გამოვიარე, რათა შენახა სურათი, რომელიც კოვალსკებს შინ უკიდიათ?!

პოლონურიდან თარგმნა

კ. ვლინსკმა



სატირისა და იუმორის ყურნალ „ნიანგის“ რედაქციას
ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის
მუსიკალური კომედიის თეატრის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე, მუსიკალური კომედიის თეატრი, ვსახლობ (თუ ამას
სახლობა ჰქვია) პლენარის პროსპექტზე № 182-ში. ჩემი
ოჯახი შედგება 131 სულისაგან, რომლებიც ძლივს უძღვებიან
ამ დიდი ოჯახის მეურნეობას. ამაზე კი არ შეგაწუხებდით,
მაგრამ ჩემი მეზობელი, ბაქოს მუსიკომედიის თეატრი, 205 წევ-
რისაგან შედგება და ამ კარგ მეზობელს არ მინდა ჩამოვრჩე,
მაგრამ, რა ვქნა, ეკონომიური პირობები არ მიწყობს ხელს.

ამას კიდევ თავს დავანებებდი, რომ ჩემი ცხოვრება ჩემი
თეატრის ჭერივით ბეწვზე არ ეკიდოს. ჩემს თავს არ ვჩივი,
დავიღუპო, მაგრამ იმ ხალხს რა ვუყო, რომელიც, არანაკლებ
1000-სა, ყოველდღე სტუმრობს ჩემს ოჯახში: ამის წინათ ქე-
რი ჩამოინგრა, მაგრამ მადლობა უფაღს, არავინ იყო. ჩემმა
კომიკურმა ოჯახმა ვერ გაუძლო ამ ტრაგიკულ ატმოსფეროს
და მიატოვა ეს შენობა. ამჟამად გარეთ ვყრივართ. გვიშვე-
ლეთ, მეგობრებო!

განცხადებასთან ერთად გიდგენთ სათანადო საბუთებს.

მუსიკომედია

ღ ა ბ ა რ ე ბ ი ს მ ო ხ მ ო ბ ა

მოქალაქე—ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკა-
ლური კომედიის თეატრი.

დაბადების წელი—დაიბადა ამ ოცდაათიოდე წლის წინათ.
დაბადების ადგილი—თბილისი, მუშტაიდის ბაღი.

ეროვნება—ქართველი.

მშობლები—არ ყოლია («ნაბიჭვარია», ისიც დედისერთა).
მამის ბიუროს გამგე.

კ ვ ვ ო ბ ი ო ბ რ ა შ ი ა

მე, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატ-
რი, დავიბადე და, როგორც თეატრი, ჩამოვყალიბდი ამ ოცდა-
თი წლის წინათ ქალაქ თბილისში, მუშტაიდის ბაღში, აქვე
მივიღე დაწყებითი განათლება. მიუხედავად დიდი გაჭირვები-
სა, არასდროს დამიკარგავს ღრმა ოპტიმიზმი, ბავშვობიდან
დღემდე ვარ ხუმარა და ენამოსწრებული, არ ვიჩნევ გაჭირ-
ვებას.

მშობლები არ მყავს. მყავს ახლო ნათესავები, რომლებიც
ჩემი ოჯახის წევრებად ითვლებიან. ესენი არიან კომპოზიტო-
რები: შ. მილორავა, რ. ლალიძე, ნ. გუდიაშვილი, ა. კერესე-
ლიძე, ა. შავერზაშვილი, გ. ცაბაძე, ვ. კურტიდი; მწერლები:
გ. ნახუცრიშვილი, ლ. გოთუა, ოთ. ჭელიძე, დ. გაჩეჩილაძე,
ლ. ჭუბაბრია, გ. ბუხნიკაშვილი, მ. ლებანიძე, პ. გრუზინსკი,
ს. ფაშალიშვილი და სხვ.

საზღვარგარეთ—ოფენბახი, კალმანი, შტრაუსი.

სომხეთში—არტემ აივაზიანი და ბევრი სხვა.

ამჟამად ვცხოვრობ პლენარის ქუჩაზე № 182-ში, და სრუ-
ლებით არ ვარ ხუმრობის გუნებაზე.

მუსიკომედიის თეატრი

*) «ნიანგის» რედაქცია გულწრფელ ბოდიშს იხდის ვასო აბაშიძის სახე-
ლობის თეატრის კოლექტივის წინაშე, თეატრს «ნაბიჭვარს» რომ უწოდებს,
მაგრამ ასეთი ნათლობა თქვენი ოპერეტის სახელწოდებამ კი არ შთაგვაგონა,
არამედ იმან, ჩვენი ხელოვნებისა და თეატრალური სამყაროს ზოგიერთ მუ-
შაკს თითქმის უკანონო შვილად რომ ყავხართ მიჩნეული.

ედლევა მოქალაქე მუსიკომედიას მასზედ. რომ იგი ნამდვი-
ლად განიცდის ხელმოკლეობას და შტატების ნაკლებობას,
რომ იგი საქართველოს ყველა თეატრალურ ოჯახში ითვლება
ულარიბეს და უდატაკეს ოჯახად. რადგან მას მთავრად სხვა
თეატრებისა, მშობლებისაგან მემკვიდრეობით არ მიუღია რაიმე
შენობა კაპიტალური ან უძრავი და მოძრავი ქონება. სახლი,
რომელშიც იგი ამჟამად ცხოვრობს, საცაა წაიქცევა.

ცნობა ესე დაწერილია მუშტაიდის ბაღის ჩამონაჭერში,
რადგან შიგ შესვლას ვერ ვებედავთ, რომ არ მოვყვეთ ხაფანგში.
ცნობა ეძლევა «ნიანგში» წარსადგენად.

ქალაქის საბჭოს კომისია.

ს ა ბ ი ნ ა ო ს ა მ მ ა რ თ ე ლ ო ს გ ა უ ა რ თ ო მ ბ უ ლ ი
ს ხ ლ ო მ ი ს ო ჯ მ ი ს ა ს ლ ი

საბინაო სამმართველომ ჩუ წლის დღის 12 საათზე მოიწვია
გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრო სახანძრო დაც-
ვის პატივცემული წარმომადგენელი და რომელმაც ოფიციალუ-
რად განაცხადა:

«ნაბიჭვარის» სახლი საცაა ჩამოწვება და, აი დარდი, თუ «ნა-
ბიჭვარი» გაისრისება, მაგრამ მე მაინც დანაშაულად ჩამეთვ-
ლება და უტკივარი თავი რად ავიტკივო, თავიც უტეხია.—გა-
მოასახლეთო.

— თავიც უტეხია, — დაუდასტურა სახლმმართველობამ.

— თავიც უტეხია, — იხუვლა დარბაზმა.

დარბაზის კუნჭულიდან მორცხვად, მაგრამ მაინც გამოით-
ქვა სხდომის ერთი გულჩვილი მონაწილის არავტორიტეტუ-
ლი აზრი: — რკინიგზის სამმართველოს ბავშვთა აღზრდის სახ-
ლი რომ აქვს, იქ მაინც შევასახლოთ, ცოდვია. უპატრონოა,
მაგრამ მაინც კაცის შვილიაო, — მაგრამ ხმა მისი შთანთქა დარ-
ბაზის ხელახალმა დახუვლებამ:

— გავასახლოთ, თავიც უტეხია.

დაადგინეს: გასახლდეს, თავიც უტეხია.

კრება დარჩა კმაყოფილი.

ღ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა

ჩვენ, «ნაბიჭვარის» უნუგეშო მდგომარეობით გულაჩუყებულ-
მა და უდროოდ და უბილეთოდ გულდათუთქულმა მაყურებ-
ლებმა, შევადგინეთ ესე დახასიათება. რათა ზემდგომი ორგა-
ნოების გულმოწყალე და ხელუხვმა მესვეურებმა, შეისმინონ
ჩვენი აჯა და ქუჩაში გაგდებულ ეგრეთ წოდებულ «ნაბიჭვარს»,
რომელიც ბიჭად ბიჭი მართლაც რომ ოქროს ბიჭია, აღმოუჩი-
ნონ ქმედითი დახმარება და მისცენ სახლის რომელიმე კუნჭუ-
ლი, რომ მისი საცოდაობით აწ დამწვარ ჩვენს გულს ისევ მა-
ლამოდ მოეცხოს მისი მხიარული კისკისი.

მაყურებლები

კ ა ს უ ხ ი

ძვირფასო მუსიკომედიავ! «ნიანგის» რედაქციამ განიხილა
შენი განცხადება, გადაიკითხა ყველა არზა და ცნობა. იტირა,
იზღვლა და ცრემლი ღვარა, მაგრამ მაინც ვერაფერი გიშვე-
ლა. შე კაი დედამის შვილო, ჩემთან რომ შემოიტანე განცხა-
დება, არ იცოდი სადაც უნდა მიგემართა? ან ის აღარ იცოდი,
რომ მე თვითონ უსახლკარო მქვია და სადაც მიუგნებულ ად-
გილას ვარ შეკუჭული?

რა გიყო, ქაჩალმა რომ თმის წამალი იცოდეს, ხომ იცი რას
იზამდა!

ისე, თუ ძმა ხარ, ზემდგომ ორგანოებში რომ შენს საქმეს
განიხილავენ და ახალ შენობას მოგცემენ, ჩემზეც გადაუკარი
ერთი-ორი სიტყვა: არ ვართ ჩვენ მოსაძულელები ხალხი.

შენი მომედე ნიანგი



— არისტო, გუშინ რევიზია რომ დაგეცა, რა იღონე?

— ყველაფერს რომ მოგიყვე, გამიგრძელდება, ისევ მოკლედ მოგიპირი.

ახალი ანდაზები

კანდიდატობა თუ არა გაქვს, გაგტანჯავს წუთისოფელი. ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო, ერთი ოთახი კი ვერაო.

გამომცემლობა ცუდ თარგმანს ბეჭდავდა და მთარგმნელის დიასახლისობას აბრალვდა.

რედაქტორს ჰკითხეს: სარედაქციო წიგნს რატომ არ კითხულობო და გემოვნებას ვუფრთხილდებიო.

ელენე ჩხენკელი

ნახ. დ. ერისთავისა



— დღეს ლექციაზე კომისია დამესწრო და ჩემი ლექციის ხტენოგრამა გააკეთეს.

— რას წუხდებოდნენ, პირდაპირ წიგნიდან გადაეწერათ.

ჭორის გენეზისისათვის

ყველაფერი რომ ვითარდება, რა თქმა უნდა, ჯორი არაა. ხოლო ადამიანის ფანტაზიის განვითარების შედეგად კი მივიღებთ ჯორს. აღსანიშნავია ის, რომ ჯორი იქმნება არა ერთი ადამიანის მიერ, არამედ ფანტაზიით დაჯილდოებულ და ქადაგისმოყვარულ რამდენიმე პირთა საშუალებით. მაშასადამე, ჯორი არის ადამიანების კოლექტიური ფანტაზიის განვითარების შედეგად მიღებული რამ (ჯორის ეს ახალი ფორმულირება ეკუთვნის ამ სტრიქონების ავტორს).

მიუხედავად იმისა, რომ ჯორი ფანტაზიის ნაყოფია, მას აუცილებლად მოყვება პრაქტიკული შედეგი.

ჯორი ძირითადად სამ ეტაპად იყოფა: 1. შედარება, 2. ალბათობა და 3. ალბათობის გაბათილება, ანუ ჯორის კულმინაციური წერტილი.

აი ერთი მათგანიც:

ერთი უცროლო ნაცნობი კაცის ირგვლივ შეიქმნა ფრიად უწუინარი და სასიამოვნო ჯორი— ვითომ იგი (ქოლა) უამრავი ფულის პატრონია, რასაც ფეხდაფეხ მოჰყვება პრაქტიკული შედეგი: ცოლად მოიყვანა ქალიშვილი, რომელზედაც ხუთი წელი უიმედოდ იყო შეყვარებული და რომელიც აქამდე ზედაც არ უყურებდა. ამ ჯორის გენეზისის თვალსაჩინოებისათვის მოვახდინოთ მოყვანილი მაგალითის საფუძვლიანი ანალიზი და სინთეზი. რის შემდეგ კოლექტიური ფანტაზიით შექმნილი რამ დავეოთ ეტაპებად.

I ეტაპი (შედარება)— ისე დადის ქოლა, გეგონება მაგის ლატარიის ბილეთს „ვოლგა“ მოეგოს.

II ეტაპი (ალბათობა)— ალბათ ქოლამ „ვოლგა“ მოიგო და იმიტომ დადის ასე გაჯგიმული.

III ეტაპი (ალბათობის გაბათილება)— ქოლამ „ვოლგა“ მოიგო, — ალალაია მაგაზე, თავმდაბალი ბიჭია.

ამის შემდეგ ეტაპები მეორდება.

IV ეტაპი— ქოლა ცოტა ეშმაკი ბიჭია, ამ ლატარიის ბილეთს ალბათ ვინმე კომბინატორს მიყიდის 150.000 მანეთად.

V ეტაპი— ქოლას ლატარიის ბილეთი ვილაც კომბინატორისათვის მიუყიდია 150.000 მანეთად.

VI ეტაპი— მაგის ამბავი რომ ვიცი, ალბათ ამ ფულით სამპროცენტო ობლიგაციას იყიდის.

VII ეტაპი— ქოლამ იყიდა 150.000 მანეთის 3% ანი ობლიგაცია.

VIII ეტაპი— ქოლას ძაღლის ბედი აქვს, მაგის ყველა ობლიგაცია მოიგებს.

IX ეტაპი— რა ბედი აქვს ქოლას, ყველა ობლიგაციას მოუგია.

X ეტაპი— ახლა ქოლას ალბათ ჩეჩქივით აქვს ფული.

XI ეტაპი ახლა ქოლას ჩეჩქივით აქვს ფული.

ამის შემდეგ უკვე საქმე გვაქვს პრაქტიკულ შედეგთან. ქოლა რომ ჩეჩქივით ფულის პატრონია. სწვდა ინგას ყურს და მალე საქმე აელის მოწერით დამთავრდა. ინგას ჯერ ეგონა. რომ ქოლა მასაც უმაღავდა ფულს. მაგრამ, როდესაც დარწმუნდა: რომ ქოლა მხოლოდ საშუალო ხელფასიანი მოსამსახურე იყო — იტკიცა.

პრაქტიკული დასკვნა: ახია ინგაზე, რატომ აყვა ჯორებს. რატომ გაყვა ქოლას!

თეორიული დასკვნისათვის სიტყვა ეძლევა მკვლევარებს.

მოფილოსოფოსო ელემენტი



— კაცო, აუცილებლად პირდაპირ უნდა ვითხრან, ვადაკრულ ნათქვამს რატომ ვერ იგებ?
— რა ვქნა, ვადაკრული თუ არა ვარ, იხე ვერ ვიგებ!

ხუხავენ ვახტანგურად

თეთრ ღუქანში ხორაგის სიმძიმით ჩაზნექილ მაგიდას დირექტორი და მისი ბუღალტერი უსხედან: უსვამთ, უჭამიან, შეზარხოშებულან. დირექტორი ვეება ჭიქას ასწევს და მიმართავს ბუღალტერს:

— თუკი გამიგებ, მეც გაგიგებ, ვიცი გაგება.

იცის ბუღალტერმა, რომ დირექტორმა იცის გაგება, მაგრამ დირექტორმაც ხომ უნდა იცოდეს რა იცის ბუღალტერმა და ამიტომაც იგი სწრაფად ასწევს ისეთსავე კიდემდე გავსებულ ვეება ჭიქას, უფროსს მიუჭახუნებს და, თითქოს სმისა ზმის თქმაში გაჯიბრებიან, ეხმიანება მოსხლეტით:

— მახეს დამიგებ, მეც დაგიგებ, ვიცი დაგება.

საკუთარი ენამზეობით დამტკბარნი დგებიან ბარბაცით, ვეება სასმისიან მარჯვენას მარჯვენაში უყრიან ერთმანეთს და ხუხავენ ვახტანგურად.

ქარაზოტი



ნ მაისია. ცხელა. ზოგი ნაციონით იგრილებს გულს, ზოგი — ცივი წყლით, მიხეილ მახიტაშვილს კი დოს შეჭამანდი მოუნდა და რუსთავის საკოლმეურნეო ბაზარს ეწვია. აუარ-ჩაუარა ბაზრის იმ განყოფილებას, რომელსაც აწერია — რძის ნაწარმი. მაგრამ დო ვერსად იშოვა. ის იყო უკან გამობრუნება დააპირა და გულდაწყვეტილს ზედ ბაზრის კართან შეესმა:

— აი, აი, ბიჭო, შენთან სურსხული არ არი? 35 წლის კასი... და ცოლი არ იღოს?!

— ნიძლავსა ვარ, ბიჭებო, ეს ქალი კუდიანია ნამდვილად! — შესძახა გაოცებულმა მიხომ. — საიდან გაიგო, რომ 35 წლისა ვარ და ისიც უცოლო?

მიხოს ამხანაგებს — სიკო რაზმაძესა და ლადო კველიშვილს პირი დაეღოთ.

— მოდი, ბიჭო, მოდი, მიუალერსა მიხოს რუსთავში მცხოვრებმა ბოშა ქალმა რაისა კარპენკომ. — ჯერ ხელზე ოქრო ძამისვი, მერე შენი საცოლო გაჩვენო. გინდა? აი, აი, აი, 35 წლის კასი და არ გინდა?

— ჩაჯექ, ჩაჯექ! — შეუყვირეს მიხოს ცნობისმოყვარეობით აღტაცებულმა მეგობრებმა.

მიხო, როგორც იდგა ბაზრის კართან, ისევე ზეზეულად ჩაიკუნტა და გაოგნებულმა მკითხავს ხელი გაუშვირა.

— ფული არი? — იკითხა რაისამ.


— ჰო, მაშ!,...

— რაც შენთან ფული იღოს, ცოტა ხანს აქ დადე ჩემ ხელში. შენი ამხანაგები აქ იღოს. ნახოს, მე ფული არ ძავილო. მერე უკან მოგცე, მერე მაჩუქე რამდენიც შენ და შენი გული გინდოდეს.

მიხომ ჯიბეები მოიქექა, ოცდაათ თუმნამდე ფული მოაგროვა, დამუჭა და მკითხავს ხელში ჩაუდო. მკითხავმა ფულიანი მუჭი ტუჩებთან მიიტანა და აბუტბუტდა, მეორე ხელით უბიდან ქანგიანი ლურსმანი ამოაძვრინა და მიხოს გაუწოდა:

— ეს ლურსმანით ცოტა მიძა მოჩიქნე...

— სად მოჩიქნო, ყველგან ასფალტია? — გააწყვეტილა მიხომ.



— საცა ასფალტი არ იღოს, იქ მოჩიქნე. მერე ის მიძა ხელის გული დაღარე, ზურგისკენ ძაილე და ზედ უღურე. თან ჩემკენ ძამოდი. როცა მოდიოდე, იმ მიძაში სოლი ძღალი გამოჩნდეს და იმ ძღალში შენი საცოლო იღოს. როცა მოხვიდე, მაღარიჩი ფული რამდენიც შენი გული გინდა, იმდენი მოგეცი. შენი ამხანაგები აქ იღოს. გაიქცა მიხა და ბაზრის კუთხეში მიწას ჩიქნა დაუწყო. მალევე უკან გამოიქცა და პირკატა ეცა:

— თქვე ვერანებო, ი ქალი რა უყავით? — შეუძახა მკაცრად მეგობრებს.

ბიჭები შემოტრიალდნენ.

— აბა რა ვიცით, ესე გვითხრა, მიტრიალდით, თვალეში ნუ მიცქერით, თორემ თქვენი მეგობრის ბედი არ ამოვაო.



ირტყა მიხომ ხელი თავში, ბედს ვინლა ჩიოდა, რაისა ვეღარსად აღმოაჩინეს.

— ააშენა ღმერთმა, — თქვა სიცილითა და სინანულით ლადო კველიშვილმა, — ოცდაათ თუმნად ი ქალმა იმდენი დო გვაყლაპა, ბარე სამწელიწადს გვეყოფა სამივეს. ათი დღე გავიდა. მიხო თავის მეგობრებთანად ისევ მივიდა ბაზარში. არ ვიცით, ახლაც დო უნდოდა თუ სხვა



— კარგი ხვითერია, მაგრამ ფერი არ მომწონს.
— ნუ გეშინია, პირველი გარეცხვისთანავე გა-
წაუვია.

რამ მოენატრა, უცებ რაისას მოჰკრა თვალი— ვიღაცას ქანგიან ლურსმანს აწვდიდა. ჰკიდა თვალი რაისამაც და მალაზიაში შევარდა, ბიჭებიც თან მიჰყვნენ...



— თუ თქვენ ამ ახალგაზრდებს თაღლითობით არ გამოძალეთ 300 მანეთი, მაშ რატომღა შევარდით მალაზიაში ამათ დანახვაზე?— შეეკითხა რაისას მილიციის თანამშრომელი.

რაისა გვარწმუნებს. შუა ბაზარში გაუბატოურება მომინდომეს და ამიტომ გავიქეციო. თან დასძენს: განა შეიძლება ჩვენს დროში ისეთ დოყლაპიას შეხვდე, რომელიც 300 მანეთს ბოშა-მკითხავს ხელში ჩაუტოვებს, თვითონ კი მიწის საჩიჩქნად წავაო?

ვეთანხმებით რაისას, მაგრამ ფაქტი ჯიუტია.

მიხოს კი დღესაც უკვირს, — საიდან გამოიცნო ი ვერანამ, რომ 35 წლისა ვარ და ისიც უცოლოო?

მიხოს შეიძლება ისიც გაუკვირდეს, ჩვენ საიდან გავიგეთ ეს ამბავი. ჩვენ კი ის გვიკვირს, ამნაირი მიამიტი ხალხი, მკითხავის, მუცლით-მეზღაპრის, ოინბაზისა და თითლიბაზის რომ სჯერა, როგორ შემორჩა ჩვენს საუკუნეს!

გ. ჯამბაყური

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ბ. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. კელიძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სპტირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3.76-69, ხაერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 12. ხელმოწ. დასაბ. 26/VI-1958 წ. კალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეფვ. № 723. უფ. 02668. ტირ. 40.000.



იგალიური იუმორი

ქადაგი ბალხს უბსნიდა, მაცხოვარმა ხუთი პურით როგორ გააძლო 5.000 კაცი, მაგრამ შეეშალა და 5.000-ის ნაცვლად. 500 თქვა. დიკვანმა შენიშნა ეს და უჩურჩულა, შეგეშალათო.

— გაჩუმდი, სულელი!— უყვირა ქადაგმა.—ნეტავი რაცა ვთქვი, იმას დაიჯერებდნენო!

ატალიურიდან თარგმნა შორენა ხინიკაძემ

ზ. აბოვიანი

სომხური იუმორი

ეკას ჰკითხეს:

— რა ხეირი გაქვს. ქარავანს ისე რომ არ უშვებ, ბამბა ან ბატყლი არ წაღლიტო.

— ხეირი რად მინდა,— მიუგო ეკალმა.—ხეირი იმან ეძებოს. ვისაც ხეირი უნდა. მე კი სიხარულს ისა მგვრის. სხვის სახლს რომ ვაქცევ და ვანელებო.

ასეთი ეკლები ადამიანებშიც არიან. ნეტავი ერთ დღეს ცეცხლი გაუჩნდეს ყველას და გადაბუგოს.

სომხურიდან თარგმნა ალ. ძამოევმა

გაუგებარ სიწყვეთა ახსნა

ასანთი—უტხო სიტყვაა. ძნელად გამოსათქმელი. ქართულად „სპიჩკას“ ეძახიან.

ბალი—მასობრივი ვართობა, იკმება კიდეც.

კროსვორდი—ზოგიერთი უფროსის მთავარი საქმიანობა კაბინეტში.

ობი—მდინარეა. ზოგს სამსახურის კაბინეტში ეკიდება.

პომადა—სურდო არ არის. მაგრამ კოცნით გადადის.

სასაფლაო—სამყარო. სადაც ადამიანებს ავიწროებენ და ისინიც ხმას ვერ იღებენ.

ტირი—მუზეუმის დანიშნულება აქვს. აქ ნახავთ უვარგის და ერეკლესდროინდელ თოფებს.

ფითილი—ბოშური სიმღერის სახელწოდება. იმღერება „სინკა-ლილის“ მოტივზე.

რაფიელ მამულაშვილი

ქარავმული ნაკვესები

1. მოკრივე ცოტას მუშაობდა თავის თავზე. საშაგიეროდ სხვები მუშაობდნენ ბევრს...
2. მოკიდავეთა შეჯიბრებაზე ჩემპიონის ცხოვრებაში გადატრიალება მოხდა.
3. ლაურეატ მსახიობს ძალიან უჭირდა ლაურეატის როლის შესრულება.
4. ყველას უფლება აქვს როლში შესვლისა, გარდა მსახიობისაო.— თქვა დეზდემონამ.
5. ქარხანაში მჩარხავეებს გარდა, ზეინკლებიც კარგად ჩარხავდნენ საქმეს.
6. ზარმაცი ნატრობდა. რომ მოკარნახედ ემუშავა მუნჯი სცენების მსახიობებთან.
7. ფერმის გამგეს დაესიზმრა, რომ კრებაზე გამოსულმა ცხენებმა მაგრად გააძაბორახეს იგი.
8. მწერალი ჟურნალის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა: იგი სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო.

110-ანი

